

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №14

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.N 65

25. 11.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ტოხვაძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-ლურზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- ლუბა გოგოძე.

**მოწვეული პირები:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- ივანე მამფორია.

სხდომა 13-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2022 წლის 25 ნოემბრის ბიუროს სხდომის

**დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ“

მომხს: ივანე მამფორია

თანამომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა წარმოდგენილ საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენენებელმა გელა ჩიკვაიძემ განმარტა, რომ კომისიების და ფრაქციების სხდომებზე განხილული იქნა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი , რაზედაც გამოთქვა შენიშვნები და წარმოადგინა ეს შენიშვნები:

1. აუცილებელია ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებული ცხოველების და მაწანწალა ძალლების თავშესაფარში გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით; მით უფრო მაშინ, როდესაც მიმდინარეობს ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები და მაწანწალა ძალლები და უპატრონოდ მიტოვებული რქოსანი პირუტყვი ქმნის არაკომფორტულ და არა უსაფრთხო გარემოს როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ტურისტებისთვისაც.
2. ბიუჯეტში უნდა გამოიძებნოს თანხები მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანოს აღდგენის მიზნით, რაც შესაძლებელია განხორციელდეს კულტურის ან ხელოვნების სფეროში მოქმედი ა(ა)იპ-ების ფარგლებში; საჭიროა 2-3 პროფესიონალი ჟურნალისტის დასაქმება და ყოველთვიური გაზეთის გამოცემის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; სავარაუდო ბიუჯეტი - 25000 ლარი;
3. სასურველია მუნიციპალიტეტში გაიზარდოს სპორტული ღონისძიებების გამართვის ხარჯები, შესაბამის ა(ა)იპ-ს დაევალოს უზრუნველყოს შიდა რაიონული პირველობების ჩატარება ჭიდაობის სახეობებში, ჭადრაკში და სპორტის სხვა სახეობებში; ღონისძიებების გამართვის ხარჯები ბიუჯეტში უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 ათას ლარს;
4. სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ნინო ხურციძის საერთაშორისო მემორიალის ჩატარება ჭადრაკში; ამისთვის ბიუჯეტში გასათვალისწინებელია 5000 ლარი;
5. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა თანხები ქალაქ ვანში მდებარე ყველა ქუჩისთვის სამისამართო ფირნიშების დასამზადებლად;
6. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ანაზღაურება გაუთანაბრდეს სხვა დანარჩენი ა(ა)იპ-ების დირექტორების ანაზღაურებას და შეადგენდეს 1600 (ათას ექვსასი) ლარის ნაცვლად 1700 (ათას შვიდასი) ლარს;
7. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ თანამშრომელთა ანაზღაურება გაიზარდოს 100 (ასი) ლარის ოდენობით;
8. წარჩინებული სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდების წახალისების მიზნით გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ფულადი რესურსი;
9. რეკრეაციული ზონის გაშენებისთვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ხარჯები;
10. მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ლოგოპედის მომსახურების მიზნით გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი ხარჯები;
11. გაიზარდოს ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სარაგბო კლუბი „აიეტი“-ს მორაგბეების ანაზღაურება და სარაგბო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიზნით მოხდეს შესაბამისი ხარჯების გათვალისწინება;

12. ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის, კონკრეტულად დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულებისთვის გაიზარდოს ფინანსური დახმარება;
13. მოხდეს სოციალური პროგრამების: მარჩენალდაკარგულ პირთა და მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამების გაერთიანება შესაბამისი დაფინანსებით.

ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ შენიშვნებს.

მომხსენებლის სიტყვით გამოსვლის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით ხარძეიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გათვალისწინებული იქნეს და შენიშვნებში შევიდეს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს. ეს საკითხია: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა შენახვის მიზნით ბიუჯეტში მომიებული იქნას თანხები.

სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას და ყველა შენიშვნას და მიიღეს გადაწყვეტილება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით დაუბრუნდეს მერიას.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

